

შპს ბაუმა

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისათვის

სარჩევი:

ფინანსური უწყისი:

ფინანსური უწყისი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	7
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	8
5. ძირითადი საშუალებები	11
6. სასაქონლო მატერიალური მარაგები	12
7. გაცემული სესხი	12
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
9. ფული და ფულის ექვივალენტები	13
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
11. მიწოდების ხარჯი	14
12. საერთო-ადმინისტრაციული ხარჯი	14
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15
14. პირობითი ვალდებულებები	15
15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	15

შპს ბაუმა

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

შპს ბაუმა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31/12/2022	31/12/2021
<u>აქტივები</u>			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	319,676	357,650
არამატერიალური აქტივები		25,620	29,917
გაცემული სესხი	7	906,684	442,725
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,251,980	830,292
 მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	6	5,133,070	6,700,670
საგადასახადო აქტივი	7	92,156	61,411
მისაღები პროცენტები		211,453	77,511
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	853,415	525,577
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	131,344	30,609
სულ მიმდინარე აქტივები		6,421,438	7,395,777
<u>სულ აქტივები</u>		<u>7,673,418</u>	<u>8,226,070</u>
 <u>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</u>			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			-
გაუნაწილებელი მოგება		2,635,621	1,520,455
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>		<u>2,635,621</u>	<u>1,520,455</u>
 გრძელვადიანი ვალდებულება			
გრძელვადიანი საბანკო სესხი		1,875,091	2,146,901
 მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	3,162,705	4,558,713
სულ ვალდებულებები		5,037,797	6,705,614
<u>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</u>		<u>7,673,418</u>	<u>8,226,070</u>

ფინანსური უწყისი ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2023 წლის 5 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი ფანოზიშვილი

შპს ბაუმა

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

შპს ბაუმა

მოგება-ზარალის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	<u>შენიშვნა</u>	<u>2022</u>	<u>2021</u>
შემოსავალი რეალიზაციიდან		7,377,810	7,708,807
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(4,617,122)	(4,908,592)
<u>საერთო მოგება</u>		<u>2,760,687</u>	<u>2,800,215</u>
საოპერაციო ხარჯები		(1,907,910)	(1,774,543)
მიწოდების ხარჯები	11	(1,317,082)	(1,171,428)
საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	12	(590,828)	(603,116)
<u>საოპერაციო მოგება</u>		<u>852,777</u>	<u>1,025,672</u>
<u>არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები</u>		<u>262,388</u>	<u>94,916</u>
ფინანსური შემოსავალი		133,942	70,412
ფინანსური ხარჯი		(247,521)	(205,452)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი, ნეტო		402,158	260,280
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, ნეტო		(26,191)	(30,324)
მოგება/ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე		1,115,166	1,120,588
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		1,115,166	1,120,588

ფინანსური უწყისი ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2023 წლის 5 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



გიორგი ჯანაშია

შპს ბაუმა

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

შპს ბაუმა

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2020	-	399,867	399,867
კაპიტალის ზრდა	-	1,120,588	1,120,588
კაპიტალის შემცირება	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	1,520,455	1,520,455
კაპიტალის ზრდა	-	1,115,166	1,115,166
კაპიტალის შემცირება	-	-	-
31 დეკემბერი 2022	-	2,635,621	2,635,621

შპს ბაუმა

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

შპს ბაუმა

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	<u>2022</u>
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	1,115,166
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები	
კორექტირება:	
ცვეთა	98,002
ფინანსური ხარჯი	233,926
ფინანსური შემოსავალი	(133,942)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი	10,998
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება, ნეტო	(402,158)
სამუშაო კაპიტალის ცვლილება:	
დებიტორული დავალიანების (ზრდა)/შემცირება	(365,204)
კრედიტორული დავალიანების ზრდა/(შემცირება)	(931,426)
მარაგების (ზრდა)/შემცირება	1,567,600
გადახდილი სესხის პროცენტი	(240,304)
მიღებული სესხის პროცენტი	-
გრძელვადიანი აქტივების (შესყიდვა)/გაყიდვა	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	952,657
გრძელვადიანი სესხის (გაცემა)/დაბრუნება	(463,960)
გრძელვადიანი აქტივების (შესყიდვა)/გაყიდვა	(78,029)
გრძელვადიანი აქტივების გაყიდვა	11,300
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(530,688)
გრძელვადიანი სესხის აღება/(დაფარვა)	(271,809)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(271,809)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულისა და ფულის ექვივალენტებზე	(49,425)
ფულისა და ფულის ექვივალენტების ზრდა	100,735
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	30,609
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	131,344

შპს ბაუმა

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბაუმა (შემდეგში - კომპანია) დაარსდა 2016 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ტექნიკის იმპორტი და რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოდგენილია 8 საცალო მაღაზიით.

კომპანიის ყოველდღიური მართვა ხორციელდება დირექტორების, გიორგი ჭრელაშვილისა და გიორგი ფანოზიშვილის მიერ.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N76ბ, ბინა N46.

2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილის მფლობელები არიან:

გიორგი ფანოზიშვილი: 30%

გიორგი ჭრელაშვილი: 30%

თემურ მიქელაძე: 15%

არკადი ჯაგასპანიანი: 25%

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური უწყისი მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური უწყისის მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი. ფინანსური უწყისის არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური უწყისი წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური უწყისის მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური უწყისი მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური უწყისი მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც

შპს ბაუმა

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სააღრიცხვო მსჯელობები და გადაწყვეტილებები მიმოიხილება სისტემატიურად. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების შემთხვევაში, ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში როდესაც ეს ცვლილება მოხდა, თუ ცვლილება ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, მაშინ ცვლილება გავლენას მოახდენს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

გრძელვადიანი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლობას მიღებას.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)
შენობა-ნაგებობები	20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20
ოფისის აღჭურვილობა	5
მანქანა-დანადგარები	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალება	5

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი
- სავალუტო რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური უწყისის სხვადასხვა ნაწილში.

კომპანიის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებისგანაც წარმოიშობა ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები, მიღებული სესხები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ყველა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფული და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები**

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოეშევა, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები. მენეჯმენტის მოსაზრებით, ფინანსური უწყისის შედგენის თარიღისთვის ფინანსური მოთხოვნები არ არის ვადაგადაცილებული მოთხოვნები, რომელიც საჭიროებს გაუფასურების ანარიცხების შექმნას.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშევა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის უწყისში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	630,602	22,190	278	653,069
ფული და ფულის ეკვივალენტები	87,788	43,280	276	131,344
მისაღები პროცენტები	211,453	-	-	211,453
გაცემული სესხი	906,684	-	-	906,684
	1,836,527	65,470	553	1,902,551
ფინანსური ვალდებულებები				
გრძელვადიანი საბანკო სესხი	(1,875,091)	-	-	(1,875,091)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(438,572)	(2,711,815)	-	(3,150,387)
	(2,313,664)	(2,711,815)	-	(5,025,479)
ღია საბალანსო პოზიცია	(477,137)	(2,646,345)	553	(3,122,928)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

შპს ბაუმა

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

	2022	
	+20%	-20%
სავალუტო რისკის მგრძნობელობა დოლარის ეფექტი მოგება/(ზარალი)	(529,269)	529,269
	2022	
	+20%	-20%
სავალუტო რისკის მგრძნობელობა ევროს ეფექტი მოგება/(ზარალი)	111	(111)

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას სესხები აღებული აქვს ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთით და შესაბამისად მისაღებ დონემდე აქვს დაყვანილი საპროცენტო რისკი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს დაგროვილ გაუნაწილებელ მოგება/ზარალს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ პასუხისმგებელი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს დამფუძნებლისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს დამფუძნებლისთვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

შპს ბაჟმა

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	შენიშნა- ნაგებობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ოფისის აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული							
ღირებულება							
31 დეკემბერი 2020	2,076	35,783	50,927	37,283	101,325	147,514	374,908
შეძენა	-	55,758	57,732	7,589	14,796	54,481	190,356
გასვლა	-	-	-	-	-	(38,256)	(38,256)
31 დეკემბერი 2021	2,076	91,541	108,659	44,872	116,121	163,739	527,008
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2020	(1,009)	(10,353)	(23,247)	(8,222)	(35,109)	(19,925)	(97,865)
ცვეთა	(104)	(4,024)	(16,281)	(8,185)	(20,481)	(33,498)	(82,574)
გასვლა	-	-	-	-	-	11,081	11,081
31 დეკემბერი 2021	(1,113)	(14,378)	(39,528)	(16,407)	(55,590)	(42,341)	(169,358)
ნეტო საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2020	1,067	25,058	32,478	25,603	65,301	127,589	277,093
31 დეკემბერი 2021	963	77,163	69,131	28,466	60,531	121,398	357,652
ისტორიული							
ღირებულება							
31 დეკემბერი 2021	2,076	91,541	108,659	44,872	116,121	163,739	527,008
შეძენა	-	38,466	15,697	-	21,530	-	75,693
გასვლა	-	-	-	-	-	(32,605)	(32,605)
31 დეკემბერი 2022	2,076	130,007	124,356	44,872	137,651	131,134	570,096
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2021	(1,113)	(14,378)	(39,528)	(16,407)	(55,590)	(42,341)	(169,358)
ცვეთა	(104)	(5,762)	(23,135)	(8,664)	(22,044)	(31,661)	(91,370)
გასვლა	-	-	-	-	-	10,307	10,307
31 დეკემბერი 2022	(1,217)	(20,139)	(62,663)	(25,071)	(77,634)	(63,696)	(250,421)
ნეტო საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2021	963	77,163	69,131	28,466	60,531	121,398	357,652
31 დეკემბერი 2022	859	109,867	61,693	19,801	60,017	67,438	319,675

შპს ბაუმა

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>2022</u>	<u>2021</u>
სასაქონლო მატერიალური მარაგები		
საქონელი	5,129,899	6,697,324
მასალა და ნედლეული	3,171	3,346
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	5,133,070	6,700,670

7. გაცემული სესხი

გაცემული სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>2022</u>	<u>2021</u>
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხი	906,684	442,725
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხი	-	-
	906,684	442,725
მისაღები პროცენტები	211,453	77,511
	211,453	77,511
სულ ფინანსური აქტივები	1,118,137	520,235

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>2022</u>	<u>2021</u>
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (რეზიდენტები)	648,874	451,669
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (არარეზიდენტები)	2,460	1,734
თანამშრომლების მიმართ მოთხოვნები	1,736	2,863
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები (რეზიდენტი)	35,089	30,647
გადახდილი ავანსები (არარეზიდენტი)	165,256	38,664

სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 853,415 525,577

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო. ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

შპს ბაუმა

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>2022</u>	<u>2021</u>
ფული ბანკში, მიმდინარე ანგარიშებზე	128,539	27,095
ფული სალაროში	2,805	3,514
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	131,344	30,609

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>2022</u>	<u>2021</u>
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (რეზიდენტები)	399,897	392,783
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (არარეზიდენტები)	2,735,328	4,124,248
თანამშრომლების მიმართ ვალდებულებები	1,764	2,786
ლიზინგის ვალდებულება	-	22,789
მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	13,399	6,378
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	12,318	9,729
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,162,705	4,558,713

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

ფინანსური ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

შპს ბაუმა

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

11. მიწოდების ხარჯი

მიწოდების ხარჯები 2022 წლის პერიოდით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>2022</u>	<u>2021</u>
შრომის ანაზღაურება	421,596	365,574
იჯარის ხარჯი	365,871	363,518
რეკლამის ხარჯი	201,261	130,785
საწვავის ხარჯი	77,243	54,088
განვადების საკომისიო	76,420	52,237
ავტომობილის ხარჯი	40,119	76,377
კომუნალური ხარჯი	46,422	36,635
ძირითადი საშუალებების ცვეთა	46,191	45,811
მივლინების ხარჯი	11,515	16,487
დაცვის ხარჯი	11,386	10,397
მიწოდების სხვა ხარჯი	19,059	19,520
სულ მიწოდების ხარჯი	1,317,082	1,171,428

12. საერთო-ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2022 წლის პერიოდით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>2022</u>	<u>2021</u>
შრომის ანაზღაურება (ადმინისტრაციული)	300,252	313,667
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთა/ამორტიზაცია	51,812	43,179
საკონსულტაციო ხარჯი	56,760	54,955
იჯარის ხარჯი (ადმინისტრაციული)	30,094	29,015
კომუნალური ხარჯი (ადმინისტრაციული)	20,789	21,626
საბანკო ხარჯი	15,759	24,208
საოფისე ხარჯი	38,257	24,056
დაზღვევის ხარჯი	12,859	14,090
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	64,246	78,318
სულ საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	590,828	603,116

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არამაკორექტირებელი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საჭიროებს დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.

14. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

დივიდენდის განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში შეადგენს 396,290 ლარს, თუმცა აღნიშნული არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ უწყისში, ვინაიდან, კომპანია ახდენს დაგროვილი მოგების რეინვესტირებას და არ გეგმავს დივიდენდის განაწილებას.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლები მოიცავს საცალო და საბითუმო მაღაზიებში მარაგების გაყიდვას. მომხმარებლებზე კონტროლი გადადის მომხმარებლების მიერ მაღაზიებში პროდუქციის ყიდვის მომენტში და შესაბამისად კომპანია შემოსავლებს აღიარებს დროის ამ მონაკვეთში. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება, მიუხედავად იმისა როდის მოხდება ანაზღაურება. შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების

შპს ბაუმა

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარი)

მნიშვნელოვანი საარჩევნო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულების მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების საფუძველზე, ფასდათმობისა და გადასახადების გამოკლებით. მომხმარებლებს აქვთ უფლება რომ პროდუქცია დააბრუნონ ან ჩაანაცვლონ, თუმცა უკან დაბრუნებული პროდუქციის ხვედრითი წილი გაყიდულ მთლიან პროდუქციაში არამატერიალურია.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით. ფასები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად, თუმცა მომხმარებელმა თითოეულ პროდუქციაზე იცის ფასი ყიდვამდე. მომხმარებელი ფულს იხდის პროდუქციის შესყიდვის მომენტში. შესაბამისად კომპანია არ აკორექტირებს ამონაგებს ფულის დროითი ღირებულების გამო.

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

კომპანია პროდუქციას ყიდის ფიქსირებული ფასებით თითოეულ პროდუქტზე, შესაბამისად კომპანია არ იყენებს მსჯელობას თითოეულ გასაყიდ პროდუქტზე ფასების განაწილებისას.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით, რომლებიც ფასს 9-შია წარმოადგენილი. ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე 3 თვემდე დაფარვის ვადით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს კომპანია ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. კომპანია არ ფლობს ფინანსურ ვალდებულებებს კლასიფიკაციას რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები, საიჯარო ვალდებულებები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთ გადახურვისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების

შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება იჯარის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

შპს ბაუმა

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს ყველა შემენის ხარჯსა და ხარჯებს რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებას ან ზარალში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორისი სხვაობები აისახება მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი / ლარი	ევრო/ლარი
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი საბაზისო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

შპს ბაუმა

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური უწყისის ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსურ უწყისში. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

